საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48211488**

თარიღი:**28/05/2021**

,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 აპრილის N ბ.48.48211181 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 აპრილის Nბ.48.48211181 ბრძანებაში და ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1.შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფი დანართში მითითებული პირების შემადგენლობით''.

2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM